ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №480195

ნომერი: AR196387

თარიღი : 07.12.2012

გაცემის თარიღი : 20.12.2012

გაცნობის თარიღი : 21.12.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი ვარდების რევოლუცია , ნაკვეთი 02/010 ; ქალაქი თბილისი , მოედანი ვარდების რევოლუცია , ჩრდილოეთ მხარეს (ნაკვეთი 02/013); ქალაქი თბილისი , მოედანი ვარდების რევოლუცია , ნაკვეთი 02/012 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მარი ქოქიაშვილი პ/ნ 01023000872
- დ.გურამიშვილის გამზ, 41ა

ორგანიზაცია:
- შპს ახალი ოფისი კოდი: 204559067

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 2011 წლის 20 დეკემბრის№1879 სამშენებლოდმიწისნაკვეთისგამოყენებისპირობებშიცვლილებისშეტანის თაობაზე

შპს "ახალი ოფისი"-ს დირექტორის წარმომადგენელმა მარი ქოქიაშვილმა (მინდობილობის №121323809) 2012 წლის

07 დეკემბერს №Aღ196387 განცხადებით მომართა სამსახურს და მოითხოვა 2011 წლის 20 დეკემბრის №1879 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 20 დეკემბერს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ვარდების რევოლუციის მოედანზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (3956.00 კვ.მ.; საკადასტრო კოდი №01.15.04.002.012) ვარდების რევოლუციის მოედნის ჩრდილოეთ ნაწილის რეკონსტრუქციის მიზნით დადგენილ იქნა №1879 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1-/1537 ბრძანებისა და საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 12 დეკემბრის №12/12/07 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედნის ჩრდილოეთ მხარეს მდებარე 2491 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდის №01.15.04.002.013) პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცა შპს "ახალ ოფისს".

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის №882011491163, მომზადების თარიღი: 13.10.11, საკადასტრო კოდი №01.15.04.002.013) თანახმად ირკვევა, რომ საჯარო რეესტრში აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან დაკავშირებით არ განხორციელებულა ცვლილება და მესაკუთრედ კვლავ რეგისტრირებულია სახელმწიფო.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით არ დასტურდება შპს "ახალ ოფისი"-ს საკუთრების უფლება ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედნის ჩრდილოეთ მხარეს მდებარე 2491 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდის №01.15.04.002.013), თუმცა, საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 12 დეკემბრის №12/12/07 განკარგულების საფუძველზე ირკვევა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი გადაეცა შპს "ახალ ოფისს".

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 2011 წლის 20 დეკემბრის №1879 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს შპს "ახალი ოფისი"-ს დირექტორის წარმომადგენელის მარი ქოქიაშვილის 2012 წლის 07 დეკემბერს №Aღ196387 განცხადება.
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 20 დეკემბრის №1879 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთს დაემატოს 2491.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი №01.15.04.002.013.

3. შენიშვნის სახით დაემატოს:

- პროექტის შეთანხმების სტადიაზე დამკვეთს დაევალოს ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედნის ჩრდილოეთ მხარეს მდებარე 2491 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდის №01.15.04.002.013) ძირითად მიწის ნაკვეთთან გაერთიანება და მისი საკუთრებაში აღრიცხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში წინამდებარე ბრძანება ჩაითვლება ძალადაკარგულად.
- საკადასტრო გეგმით #01.15.04.002.013 მიწის ნაკვეთი ყვება სატრანსპორტო ზონა (ტზ–1)–ის არეალში da ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრაში საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2)–ს დაემატოს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1) სადაც დასაშვებია მიწისქვეშა სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.

• ამასთან გაუქმდეს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ძველი შენიშვნები და მიეთითოს ახალი: სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2)–ის არეალში და დაცული იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი და აღნშნულ ტზ–1–ის არეალში შესაძლებელია მიწისქვეშა სსამშენებლო სამუშაოების წარმოება (იხ. დანართი).

4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 20 დეკემბრის №1879 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს Oქ.თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.